ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

# მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01191092270**
თარიღი: **19/04/2019**
პინი: **6664**

**ადრესატი:** დავით ნამოევი
**პირადი ნომერი:** 01020005184
**მისამართი:** თბილისი კიშინოვის ქ. N 78

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

თქვენი N19/01181211320-17 წერილის პასუხად გაცნობებთ,რომ ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N111-ში (საკ. კოდი01.13.02.008.061 ) 2011წლის 29 დეკემბრის N01/3958 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის გამო, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს $25^1$-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალიწინებული სამართალდარღვევის თავიდან აცილების მიზნით ინსპექცია გაძლევთ რეკომენდაციას 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ ან/და წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა შემდეგი დარღვევის გათვალიწინებით:
დამატებით მოწყობილია კოლონები და შეცვლილია საპროექტო კოლონების გაბარიტი. დამატებულია კაპიტალური კედლები. ნაწილობრივ შეცვლილია კიბეების საფეხურების რაოდენობა და გაბარიტი. შეცლილია ღიობების გაბარიტი. ადგილმდებარეობა და რაოდენობა.

-2.70 ნიშნულზე „1-1“ ღერძის გარეთ კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი და გაზრდილია შიდა ფართი. გაუქმებულია ავტოსადგომი.

-6.55 და -0.60 ნიშნულებზე „5-12“ მონაკვეთში შეცვლილია გარე კედლების ფორმა და დამატებულია ვიტრაჟები. კოლონებს მონაცვლებული აქვს ადგილი.

პროექტის არასრული ნახაზების სახით არის შეთანხმებული.

შენობა და საყრდენი კედელი ნაწილობრივ სცდება საკადასტრო წითელ ხაზებს.

დამატებით განგიმარტავთ, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს $25^1$-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად „რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება”.

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

# დოკუმენტის გაცემის ბარათი

## დოკუმენტი

წერილის ნომერი: 17-01191092270
წერილის თარიღი: 19.04.2019 14:30

---

## საფუძველი

განცხადების ნომერი: 19/01181211120-17
განცხადების თარიღი: 01.05.2018 13:42

---

## განცხადება/ნომენკლატურა

მუნიციპალური ინსპექცია
შენობა - ნაგებობის ტექნიკური ზედამხედველობის სერვისი
ქვითრის წარმოდგენა
მუნიციპალური ინსპექცია
შენობა - ნაგებობის ტექნიკური ზედამხედველობის სერვისი
ვიზიტის თარიღის დანიშვნა

---

## წერილის გამტანი პირი

დავით ნაბიევი
პირადი ნომერი: 01020005184

ხელმოწერა:

---

## რეგისტრატორი

სალომე მაჭარაშვილი
ქალაქ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო - მომსახურების ცენტრების მართვის სამსახური - მომსახურების ოფიცერი
გაცემის თარიღი: 22.04.2019 13:30

| | |
|---|---|
| გზავნილის თარიღი | 19, აპრ 2019 16:01 |
| დოკუმენტის ნომერი | 17-01191092270 |
| წერილის შტრიხკოდი | AP01006047700 |
| კონვერტაციის ოპერატორი | ნინო შარაშიძე |
| ადრესატი | დავით ნამოევი |
| ადრესატის მისამართი | თბილისი კიშინოვის ქ. N 78 |
| სტატუსი | მიტანილი |
| კურიერის ვიზიტის თარიღი | 20, აპრ 2019 11:29 |
| კურიერი | გიორგი დორეული |
| კომენტარი | გადაცემა გზავნილი ჩაბარდა ადრესატს. ჩაიბარა: inga mamoeva 01020075681 ოჯახის წევრი bidzashvili |

მიმღები პირის ხელმოწერა



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№4-1/ფ 1861-19

"04" 10 2019 წ.

დადგენილება №000630
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

07.10.2019წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ ვლადიმერ ყუშიტაშვილმა განვიხილე 2019 წლის 4 ოქტომბრის №000630 შემოწმების აქტი "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", შედგენილი შ.პ.ს. "რესტორანი იმპერია"-ს (ს.ნ. №202459678; მის.: ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, ბელიაშვილის ქუჩა №7 მ/ტ) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა №111/ქ. თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა №111ა, საკ. კოდი №01.13.02.008.187-ზე, შ.პ.ს. "რესტორანი იმპერია"-ს მიერ განხორციელდა საზოგადოებრივი კვების ობიექტის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №01/441 04.03.2010წ. და №01/3958 29.12.2011წ. ბრძანებებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ, შეცვლილია საკადასტრო წითელი ხაზების კონფიგურაცია და საკადასტრო კოდი 01.13.02.008.061-ის ნაცვლად საკადასტრო კოდი 01.13.02.008.187. შეცვლილია ფასადების მოპირკეთება. შეცვლილია პარაპეტის ფორმა. შეცვლილია გადახურვის კონსტრუქცია, სახურავის ფორმა და მასალა. დამატებით მოწყობილია კოლონები და შეცვლილია საპროექტო კოლონების გაბარიტი. დამატებულია კაპიტალური კედლები. ნაწილობრივ შეცვლილია კიბეების საფეხურების რაოდენობა და გაბარიტი. შეცლილია ღიობების გაბარიტი, ადგილმდებარეობა და რაოდენობა. დამატებთ მოწყობილია ღიობები სამეზობლო მიჯნაზე. -2.70 ნიშნულზე „1-1" ღერძის გარეთ კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი და გაზრდილია შიდა ფართი. გაუქმებულია ავტოსადგომი. -6.55 და -0.60 ნიშნულებზე „5-12" მონაკვეთში შეცვლილია გარე კედლების ფორმა და დამატებულია ვიტრაჟები. კოლონებს მონაცვლებული აქვს ადგილი.

2019 წლის 4 ოქტომბერს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის "ზ" და "თ" პუნქტების საფუძველზე, მუნიციპალური ინსპექციის



ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000630 "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია, მხარის №10/01192733522-17 30.09.2019წ. განცხადება; ობიექტის ამსახველი ფოტომასალა; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის №17-01191092270 19.04.2019წ. წერილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შ.პ.ს. "რესტორანი იმპერია"-ს მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა №111/ქ. თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა №111ა, საკ. კოდი №01.13.02.008.187-ზე, შ.პ.ს. "რესტორანი იმპერია"-ს მიერ განხორციელდა საზოგადოებრივი კვების ობიექტის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №01/441 04.03.2010წ. და №01/3958 29.12.2011წ. ბრძანებებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. შ.პ.ს. **"რესტორანი იმპერია"** დაჯარიმდეს 10000 (ათი ათასი) ლარით პროექტის დარღვევით III კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. **"რესტორანი იმპერია"**-ს დაევალოს, საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების** დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი**: სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, **შ.პ.ს. "რესტორანი იმპერია"-ს** დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და

თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დამრღვევს დაერიცხება საურავი დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის თანხით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე ჯ. ქუშიტაშვილი

№000630 შემოწმების აქტის დანართი (დანართი ერთი ფურცელი)

შეცვლილია საკადასტრო წითელი ხაზების კონფიგურაცია და საკადასრო კოდი 01.13.02.008.061-ის ნაცვლად 01.13.02.008.187

შეცვლილია ფასადების მოპირკეთება. შეცვლილია პარაპეტის ფორმა. შეცვლილია გადახურვის კონსტრუქცია, სახურავის ფორმა და მასალა.

დამატებით მოწყობილია კოლონები და შეცვლილია საპროექტო კოლონების გაბარიტი. დამატებულია კაპიტალური კედლები. ნაწილობრივ შეცვლილია კიბეების საფეხურების რაოდენობა და გაბარიტი. შეცლილია ღიობების გაბარიტი, ადგილმდებარეობა და რაოდენობა. დამატებთ მოწყობილია ღიობები სამეზობლო მიჯნაზე.

-2.70 ნიშნულზე „1-1" ღერძის გარეთ კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი და გაზრდილია შიდა ფართი. გაუქმებულია ავტოსადგომი.

-6.55 და -0.60 ნიშნულებზე „5-12" მონაკვეთში შეცვლილია გარე კედლების ფორმა და დამატებულია ვიტრაჟები. კოლონებს მონაცვლებული აქვს ადგილი.

უფროსი სპეციალისტი /კ. გიორგობიანი/

## ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

თბილისი, 0160, შარტავას ქ. 7

ტელ: 2378501, 2378396


### შემოწმების აქტი № 000630

(სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ)

შედგენის თარიღი: 04.10.19წ

საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი" 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის თანახმად, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შემოწმების აქტის შედგენით იწყება შემდეგი შემთხვევის გამო:

ა) მშენებლობის დემონტაჟის დაუყოვნებლივ შეჩერების შესახებ დადგენილების მიღებისას;

ბ) მშენებლობის შეჩერების შესახებ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების შეუსრულებლობისას;

გ) დამრღვევისთვის საურავის შესახებ დადგენილების მიღებისას;

დ) დამრღვევის საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის თანხით დაჯარიმებისას;

ე) საეტაპო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისას;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში მშენებლობადამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად განცხადების წარმოუდგენლობისას;

ზ) თუ დამრღვევი განცხადების საფუძველზე აღიარებს სამშენებლო ობიექტზე არსებულ დარღვევებს და ითხოვს კანონით დადგენილი ზომების გატარებას;

თ) სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების პროცესში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიერ სამშენებლო ობიექტებზე არსებული დარღვევების გამოსწორების მიზნით გაცემული რეკომენდაციის შეუსრულებლობისას;

ი) მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევისას.

დამრღვევის დასახელება და მისამართი: შპს „[illegible]" ს/ს 202459678 ([illegible] 3160102 000534 -) [illegible] №7 ბ/ლ

ობიექტის დასახელება და მისამართი: [illegible] №11 [illegible] №111ა ([illegible] №01.13 02.008.187)

შემოწმებით დადგინდა: [illegible] №01/441 04.03.10წ და №01/3958 29.12.11წ [illegible] №000630 [illegible]

შემოწმების აქტის შემდგენი (თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა):

[illegible] / [illegible] /

შემოწმების აქტი ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა):

[illegible]
02.10.13 წ.

თუ ვერ ხერხდება მხარისათვის შემოწმების აქტის გაცნობა (პირადად ჩაბარება), გაცნობად (ჩაბარებად) ჩაითვალოს მათი განთავსება შემოწმების აქტში მითითებული ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე („პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ" საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის მე-19 ნაწილი).

შემოწმების აქტი გაეცნო (ჩაბარდა) დამრღვევს, თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით. (ზუსტად მიეთითოს თვალსაჩინო ადგილი).

განთავსების თარიღი

სს „საქართველოს ბანკი“
წარდგენის თარიღი: 07.10.2019
მიღების თარიღი: 07.10.2019

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

# საგადახდო დავალება 8516418308

| | |
|---|---|
| გადამხდელი | ნამოევი დავით |
| გადამხდელის ანგარიში | GE56BG4501981640090002 |
| გადამხდელის ბანკი | სს "საქართველოს ბანკი" BAGAGE22 |
| მიმღები | ქ. თბილისი |
| მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი | 300773263 |
| მიმღების ბანკი | სახელმწიფო ხაზინა TRESGE22 |
| გადასახადის გადამხდელი | შპს რესტორანი იმპერია |
| საიდენტიფიკაციო/პირადი N | 202459678 |
| დანიშნულება | ჯარიმის თანხა დადგენილება # 000630, 07/10/2019 |
| დამატებითი ინფორმაცია | |
| თანხა | **10,000.00 GEL**<br>ათი ათასი ლარი 00 თეთრი |
| საკომისიოს ანგარიში | |
| საკომისიო | 0.00 GEL<br>ნული ლარი 00 თეთრი |

თუ საგადახდო დავალების შესრულების თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, მისი შესრულება მომდევნო სამუშაო დღეს განხორციელდება.

კლიენტი _____ ბანკი _____

-კონფიდენციალური-
-Confidential-
1/1